სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

64970068006324

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N24312539

რეგისტრაციის თარიღი

14.03.2024 წ

ნოტარიუსი: ლალი ჯანუყაშვილი
მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის ქ. 53ა, II სართული
ტელეფონი: 595477133

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის თოთხმეტ მარტს მე, ნოტარიუსს ლალი ჯანუყაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მირიან მეფის ქ. 53ა, II სართული, მომმართა ირაკლი ბრეგაძემ, (შემდგომში "მიმნდობი"), როგორც შპს სტატიოს (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20060355, 03/08/2020, საიდ. ნომერი: 400005533) დირექტორმა (შემდგომში "მიმნდობი"), რომელმაც განაცხადა, რომ სურს, მინდობილობა შედგენა და მისი დამოწმდეს სანოტარო წესით.

მე დავადგინე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ირაკლი ბრეგაძემ (დაბ.26.04.1980წელს, პ/ნ 41001002553, რეგისტრირებული მისამართზე: ტყიბული სიმონ მერკვილაძის ქ. N 41)მომმართა.

მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, მისი ქმედუნარიანობა, მის ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია. რის შემდეგ შევუდგინე მას ეს მინდობილობა და წავუკითხე. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ირაკლი ბრეგაძე, შპს სტატიოს (ს/ნ 400005533) დირექტორი, შემდეგში `მიმნდობი", ზაალი შარაშენიძეს (დაბ:15.05.1977წელს, პ/ნ 01023003614, მცხოვრები: თბილისი ცოდნისკარის ქ. N 1ა), შემდეგში `მინდობილ პირს", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ს/კ 01.12.08.039.138 იყოს საზოგადოების წარმომადგენელ ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, მერიაში, მერიის არქიტექტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მერიის ქონების მართვის სამსახურში, ასევე მერიის ნებისმიერ სამსახურში, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისაგან, დაწესებულებისაგან, წარადგინოს პროექტი შესათანხმებლად, შეიტანოს პროექტში ცვლილება-კორექტირება, განაახლოს პროექტი, აღადგინოს, გააგრძელოს ვადა, ჩააბაროს, მიიღოს ყოველგვარი ნებართვა, მათ შორის მშენებლობის ნებართვა, ასევე მშენებლობის რეკონსტრუქციის ნებართვა, დააზუსტოს ფართობი, შეიტანოს ყოველგვარი განცხადება და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ჯანუყაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში. დანარჩენი გადაეცათ მხარეებს. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მე, ნოტარიუსმა ლალი ჯანუყაშვილმა, მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მას.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე -30.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 5,40 ლარი,

მიმნდობი: ირაკლი ბრეგაძე

ნოტარიუსი: ლალი ჯანუყაშვილი

ლალი ჯანუყაშვილი • LALI JANUKASHVILI • ნოტარიუსი • NOTARY • 01025006251